Municipality of Akhaltsikhe
Digitally signed by Municipality of Akhaltsikhe
Date: 2021.02.08 14:55:27 +04'00'

მიღება-ჩაბარების აქტი 29/03

ქ. ახალციხე

„04“ ~~დეკემბერი~~ 2021 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ახალციხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის (ს/კ 224101317) მერის 2021 წლის 20 იანვრის № ბ12.12210201 ბრძანებით შექმნილი მიღება-ჩაბარების კომისიის წევრები და მეორეს მხრივ შპს ,,ელ ეს ჯორჯია“-ს (ს/კ 401996220) დირექტორი ტარიელ ტალახაძე ვადასტურებთ, რომ თანახმად ახალციხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველ ერთეულსა და შპს ,,ელ ეს ჯორჯია“-ს შორის დადებული, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2020 წლის 19 თებერვლის №38 ხელშეკრულების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს ,,ქრიზოლითი+“-ს მიერ განხორციელდა ქალაქ ახალციხეში, მერაბ კოსტავას და ჯაყელის ქუჩაზე არსებული ჩიხების სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებული ობიექტის ინსპექტირება, მათი დასკვნის შესაბამისად ობიექტზე ხარვეზები არ გამოვლენილა.

2020 წლის 19 თებერვლის №38 ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული ექვემდებარება სამუშაოების ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული თანხიდან პირველი 2,5%-ის, 4116,04 (ოთხიათას ასთექვსმეტი ლარი და 04 თეთრი) ლარის ანაზღაურებას.

აღნიშნულს ვადასტურებთ ახალციხის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები (კომპეტენციის ფარგლებში) და შპს ,,ელ ეს ჯორჯია“-ს დირექტორი ტარიელ ტალახაძე ხელმოწერით.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, წინამდებარე კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ ამ კანონის მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

მხარეებს პრეტენზიები არ გაგვაჩნია

კომისიის თავმჯდომარე-
ახალციხის მუნიციპალიტეტის
მერის პირველი მოადგილე - გურამი მელიქიძე

მიღება-ჩაბარების კომისიის თავმჯდომარის
მოადგილე- ახალციხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე- იოსებ კაპანაძე

კომისიის წევრი - ახალციხის მუნიციპალიტეტის
მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის
საფინანსო -საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - გელა ლომიძე

კომისიის წევრი - ახალციხის მუნიციპალიტეტის
მერიის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ტექნიკურ-ეკონომიკური განყოფილების
ხელმძღვანელი - სტეფანე კაჭკაჭაშვილი

კომისიის წევრი - ახალციხის მუნიციპალიტეტის
მერიის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ეკონომიკური სამსახურის ხელმძღვანელი - ილია ზარდიაშვილი

კომისიის წევრი-ახალციხის მუნიციპალიტეტის
მერის მრჩეველი ინფრასტრუქტურულ საკითხებში - გელვასი გელაძე

შპს ,,ელ ეს ჯორჯია“-ს დირექტორი - ტარიელ ტალახაძე

ქ რ ი ზ ო ლ ი თ ი +

შპს „ ქრიზოლითი +“
A-ტიპის ინსპექტირების ორგანო
თბილისი 0105, შ.დადიანის ქ. №24ა(იურიდიული)
თბილისი, ა. ყაზბეგის ქ. №47ბ (ფაქტიური)
ტელ : (+995 32) 2 14 24 44
ელ.ფოსტა: khrizoliti@gmail.com

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013
GAC-IB-0301

A-ტიპის ინსპექტირების ორგანო აკრედიტირებული სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013.
აკრედიტაციის მოწმობა GAC-IB-0301

ტექნიკური ზედამხედველობის ანგარიში № QRT/IB-A2-20-13 AXC

1. შედგენის თარიღი: 31.05. 2020 წ.
2. შევადგინე ზედამხედველობის-ინსპექტორმა: გ. აღლემაშვილი
   სპეციალობით საავტომობილო გზები,
   მუშაობის 31 წლიანი სტაჟით.
3. განაცხადი: N 909/07 25.02.2020 წ. ხელშეკრულება: N 254 27.08.2019 წ.
4. **დამკვეთის დასახელება:** ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია.
5. **ინსპექტირების ობიექტის დასახელება:** ქალაქ ახალციხეში, მერაბ კოსტავას და ჯაყელის ქუჩაზე არსებული ჩიხების სარეაბილიტაციო სამუშაოები.
6. **ინსპექტირების ამოცანა:** ქალაქ ახალციხეში, მერაბ კოსტავას და ჯაყელის ქუჩაზე არსებული ჩიხების სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობაზე ტექნიკური ზედამხედველობა-ინსპექტირების განხორციელება.
7. გაფრთხილებული ვარ ჩემს უფლება-მოვალეობებზე, საქ. სსკ 370 მუხლით გათვალისწინებული მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ, ასევე ინსპექტირების მიუკერძოებლობის, დამოუკიდებლობის და კონფიდენციალურობის მოთხოვნებზე, რაზედაც ხელს ვაწერ:

ზედამხედველობის-ინსპექტორი: / გ. აღლემაშვილი/

შპს ქრიზოლითი + ზედამხედველობა 404474065 ინსპ. ექსპ. №2 KHRIZOLIT + LTD

8. წარმოდგენილი დოკუმენტები:

2020 წლის 19 თებერვალს გაფორმებული №38 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, ღირებულებით 220 170 (ორას ოცი ათას ას სამოცდაათი) ლარი დარიცხვებისა და დღგ-ს გათვალისწინებით (ტენდერი№ NAT200000104), ელექტრონულად ხელმოწერილი ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის ზაზა მელიქიძის და შპს „კომპანია ელ ეს ჯორჯია"-ს დირექტორის ტარიელ ტალახაძის მიერ;

ქალაქ ახალციხეში, მერაბ კოსტავას და ჯაყელის ქუჩაზე არსებული ჩიხების სარეაბილიტაციო სამუშაოების ნაკრები ხარჯთაღრიცხვა ღირებულებით 220 170 (ორას ოცი ათას ას სამოცდაათი) ლარი, დარიცხვებისა და დღგ-ს გათვალისწინებით, მათ შორის: კოსტავას ქუჩის ჩიხზე-59293,66 ლარი, ჯაყელის ქუჩის ჩიხზე-160876,34 ლარი. ხარჯთაღრიცხვები ბეჭედდასმული და ხელმოწერილია შპს „კომპანია ელ ეს ჯორჯია"-ს დირექტორის ტარიელ ტალახაძის მიერ;

2020 წლის 28 თებერვალს გაფორმებული №1 სახელშეკრულებო შეთანხმება ხარჯთაღრიცხვის კორექტირებაზე, რომლის ღირებულებამ შეადგინა 154 540,86 (ას ორმოცდათოთხმეტი ათას ხუთას ორმოცი ლარი და 86 თეთრი) ლარი, დარიცხვებისა და დღგ-ს გათვალისწინებით, მათ შორის: კოსტავას ქუჩის ჩიხზე-59293,66 ლარი, ჯაყელის ქუჩის ჩიხზე-95247,2 ლარი.

2020 წლის 20 მაისს გაფორმებული №3 სახელშეკრულებო შეთანხმება ხარჯთაღრიცხვის და საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირებაზე, რომლის ღირებულებამ შეადგინა 164 641,85 (ას სამოცდაოთხი ათას ექვსას ორმოცდაერთი 85 თეთრი) ლარი, დარიცხვებისა და დღგ-ს გათვალისწინებით, მათ შორის: კოსტავას ქუჩის ჩიხზე-99866,19 ლარი, ჯაყელის ქუჩის ჩიხზე-64775,66 ლარი. კორექტირებული ხარჯთაღრიცხვები ბეჭედდასმული და ხელმოწერილია შპს „კომპანია ელ ეს ჯორჯია"-ს დირექტორის ტარიელ ტალახაძის მიერ;

ქალაქ ახალციხეში, მერაბ კოსტავას და ჯაყელის ქუჩაზე არსებული ჩიხების რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაცია, მომზადებულია შპს „მ-პროექტი"-ის მიერ;

კორექტირებული გეგმა-გრაფიკი;

9. ინსპექტირების კვლევითი ნაწილი:

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის ზაზა მელიქიძის 2020 წლის 25 თებერვლის N909/07 წერილის თანახმად ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ახალციხეში, მერაბ კოსტავას და ჯაყელის ქუჩაზე არსებული ჩიხების სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობაზე შპს „ქრიზოლითი +"-ს ზედამხედველმა-ინსპექტორმა გიორგი აღლემაშვილმა განვახორციელე ტექნიკური ზედამხედველობა-ინსპექტირება, რომლის ღირებულება ხარჯთაღრიცხვის მიხედვით შეადგენს 164 641,85 (ას სამოცდაოთხი ათას ექვსას ორმოცდაერთი 85 თეთრი) ლარი, დარიცხვებისა და დღგ-ს გათვალისწინებით, მათ შორის: კოსტავას ქუჩის ჩიხზე-99866,19 ლარი, ჯაყელის ქუჩის ჩიხზე-64775,66 ლარი.

2020 წლის 20 მაისს გაფორმებული ახალციხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველ ერთეულსა და შპს „კომპანია ელ ეს ჯორჯია"-ს შორის №3 შეთანხმების საფუძველზე პროექტმა განიცადა კორექტირება (ჯაყელის ქუჩის ჩიხზე შემცირდა რკინაბეტონის საყრდენი კედლის მოცულობა; კოსტავას ქუჩის ჩიხზე შეიცვალა ახალი საყრდენი კედლების როგორც მდებარეობა ასევე მოცულობები, შემცირდა არსებული ქვის კედლის გასამაგრებელი სამუშაოების მოცულობები, გაიზარდა ახალი კედლების და ასფალტობეტონის სამოსის მოცულობები), რომლის ღირებულებამ შეადგინა 164 641,85 (ას სამოცდაოთხი ათას ექვსას ორმოცდაერთი 85 თეთრი) ლარი, დარიცხვებისა და დღგ-ს გათვალისწინებით, მათ შორის: კოსტავას ქუჩის ჩიხზე-99866,19 ლარი, ჯაყელის ქუჩის ჩიხზე-64775,66 ლარი.

ქალაქ ახალციხეში, მერაბ კოსტავას და ჯაყელის ქუჩაზე არსებული ჩიხების მოწყობის მიმდინარეობაზე ზედამხედველობა განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოების შესრულებაზე:

ქრიზოლითი + ზედამხედველობა 404474065 ინსპ./ექსპ. №2 KHRIZOLIT LTD

კოსტავას ქუჩა :

ტრასის აღდგენა და დამაგრება;
გრუნტის დამუშავება დატვირთვა და გატანა ნაყარში;
მიწის ვაკისის მოშანდაკება;
შემასწორებელი ფენის მოწყობა;
საფუძვლის მოწყობა ფრაქციული ღორღით (0-40);
თხევადი ბიტუმის მოსხმა,
გზის საფარის მოწყობა ასფალტობეტონით,
რკინაბეტონის საყრდენი კედლების მოწყობა;
არსებული კედლების გამაგრებისათვის პერანგის, პილიასტრის და სარტყელის მოწყობა.

ჯაყელის ქუჩა:

ტრასის აღდგენა და დამაგრება;
გრუნტის დამუშავება დატვირთვა და გატანა ნაყარში;
მიწის ვაკისის მოშანდაკება;
შემასწორებელი ფენის მოწყობა;
საფუძვლის მოწყობა ფრაქციული ღორღით (0-40);
რკინაბეტონის საყრდენი კედლების მოწყობა;
ბეტონის საფარის მოწყობა;
ტემპერატურული ნაკერების მოწყობა.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „კომპანია ელ ეს ჯორჯია"-ს შორის 2020 წლის 19 თებერვალს გაფორმებული №38 ხელშეკრულებისა და თანდართული გრაფიკის თანახმად სამუშაოების შესრულების ვადა განსაზღვრული იყო 2020 წლის 19 თებერვლიდან 2020 წლის 16 ივლისის ჩათვლით.

ფაქტიურად სამუშაოები დაიწყო 2020 წლის 23 თებერვალს და დასრულდა 2020 წლის 31 მაისს, რითაც დადგენილი გეგმა-გრაფიკი შესრულდა წინსწრებით.

ყველა ფარული სამუშაოების მიღება განხორციელდა ეტაპობრივად და ზემოთ აღნიშნულ სამუშაოებზე გაფორმდა ფარული სამუშაოების 64 აქტი (ჯაყელის ჩიხი -27 აქტი, კოსტავას ჩიხი-37 აქტი), რომელიც დადასტურებულია შპს „კომპანია ელ ეს ჯორჯია"-ს სამუშაოთა მწარმოებლის გურამ გაგულიძეს და შპს„ქრიზოლითი+"-ის ზედამხედველობის-ინსპექტორის გ. აღლემაშვილის მიერ.

ზედამხეველობის პროცესში ობიექტზე ივსებოდა ზედამხედველობის-ინსპექტირების ჟურნალი, რომელშიც დაფიქსირებულია შესრულებული სამუშაოების სახეები, მიმდინარე პროცესები და ამ პროცესებზე გადაღებულია ფოტოსურათები. ზედამხედველობის-ინსპექტირების ჟურნალი და ფოტოები ანგარიშს თან ერთვის.

ზედამხედველობის-ინსპექტირების პერიოდში შპს „კომპანია ელ ეს ჯორჯია"-ს სამუშაოთა მწარმოებლის გურამ გაგულიძეს მიერ, ჩემი თანდასწრებით მოხდა ადგილზე ა/ბეტონის და ბეტონის ნიმუშების აღება, რაზედაც შედგენილია ასფალტობეტონის ნიმუშის აღების 1 აქტი და ბეტონის ნიმუშის აღების 4 აქტი, რომელსაც აკრედიტებული ლაბორატორიის შპს „ხარისხის კონტროლი"-ს მიერ (აკრედიტაციის №GAC-TL-0225) ჩაუტარდა ლაბორატორიული კვლევები. წარმოდგენილი კვლევის შედეგები შესაბამისობაშია პროექტის მოთხოვნებთან და ნიმუშის აღების აქტთან ერთად ანგარიშს თან ერთვის. იგივე ლაბორატორიის მიერ ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით და ფრაქციული ღორღით(0-40) მოწყობილ ფენების ტკეპნაზე ჩატარებული ლაბორატორიული კვლევის შედეგებიც შესაბამისობაშია პროექტის მოთხოვნებთან და ანგარიშს თან ერთვის.

აზომვები ხორციელდებოდა 10 მ-ანი ლენტის საზომი ლენტით (დაკალიბრების სერტიფიკატი №GE/MI/01-01796-17) ,ნივოლირების საზომი ბორბლით N GMC-CC-00575/2-17.

მშენებლობის პროცესი წარიმართა მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით, პროექტსა და ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებული მონაცემების შესაბამისად, ვიზუალურად ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

ინსპექტირების ანგარიშს თან ერთვის.

მე-8 პუნქტში მითითებული დოკუმენტები (ქსეროასლი);

ფარული სამუშაოს 64 აქტი (დედანი)

ფოტომასალა -228 ფოტო (ელ. ვერსია);

ა/ბეტონის ნიმუშის აღების აქტი 1(დედანი);

ბეტონის ნიმუშის აღების აქტი 4 (დედანი);

ლაბორატორიული კვლევის შედეგები 12 ფურცელი:

კოსტავას ჩიხზე-7ფურცელი, ჯაყელის ჩიხზე- 5 ფურცელი (ელ. ვერსია);

საფუძვლის ქვედა ფენის ტკეპნაზე 2 ფურცელი;

საფუძვლის ზედა ფენის (0-40მმ) ტკეპნაზე 2 ფურცელი;

ა/ბეტონის ნიმუშების გამოცდაზე 2 ფურცელი;

ბეტონის ნიმუშების გამოცდაზე 6 ფურცელი;

ზედამხედველობა-ინსპექტირების ჟურნალი (დედანი);

10. გამოყენებული ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები QRT/IB/GP-7.1-03.

აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს აკრედიტაციის ცენტრის 2017 წლის რეკომენდაცია, შესრულებული სამუშაოების (მ.შ. ფორმა №2) ინსპექტირების სქემა სპეციალურ საკითხებთან მიმართებაში.

СНиП IV-2-82 და СНиП IV-2-91-ის №1-50 კრებულები;

დასკვნა

ქალაქ ახალციხეში, მერაბ კოსტავას და ჯაყელის ქუჩაზე არსებული ჩიხების სარეაბილიტაციო სამუშაოების რეაბილიტაციაზე, 2020 წლის 23 თებერვლიდან 2020 წლის 31 მაისამდე განხორციელებული ზედამხედველობა - ინსპექტირების პერიოდში ობიექტზე სამუშაოები სრულდებოდა კორექტირებული საპროექტო/სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მონაცემების შესაბამისად, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით. შესრულებული სამუშაოების ხარისხობრივი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ზედამხედველობის ინსპექტორი: / გ. აღლემაშვილი/

ტექნიკური წესით გადაამოწმა
ტექნიკურმა მენეჯერმა: /ღ.რაზმაძე/

ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა
ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელმა: /მ.ახვლედიანი/

ინსპექტირების დაწყების თარიღი: 23.02. 2020 წ.

ინსპექტირების დამთავრების თარიღი 31.05. 2020 წ.

შპს ქრიზოლითი+ ზედამხედველობა 404474065 ინსპ./ექსპ. №2 KHRIZOLIT+ LTD